კიევში

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 1 აგვისტო.

“დინამო” (კიევი) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (1:0).

კიევი: ბანიკოვი, შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, ტურიანჩიკი, საბო, ბაზილევიჩი, ვერიგინი (ლევჩენკო), მედვიდი, კანევსკი, ბიბა.

თბილისი: კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

თბილისში პირველი წრის მატჩში დამარცხების შემდეგ კიეველებს მალე მიეცათ რევანშის საშუალება. ისინი საბრძოლო განწყობილებით გამოვიდნენ მინდორზე.

“ბზარიც” პირველად სწორედ თბილისელთა ტაბლოზე გაჩნდა. მე-10 წუთზე ვერიგინმა გახსნა ანგარიში.

მარცხს არევა არ შეუტანია თბილისელთა რიგებში, ისინი კარგად, ტაქტიკურად სწორად და გააზრებულად თამაშობდნენ. შესვენების შემდეგ კი მათი შეტევები იმდენად მწვავე გახდა, რომ კიეველები ძალთა დიდი დაძაბვით ახერხებდნენ ბურთის მოგერიებას კუთხურზე ან გვერდით ხაზს იქით. მატჩის 59-ე წუთზე იამანიძის მოწოდებიდან დათუნაშვილმა გაიტანა საპასუხო გოლი. 1:1 - თანაკლუბელებმა გაიყვეს ქულები.

დუბლიორთა მატჩი თბილისელთა გამარჯვებით (3:2) დამთავრდა.

“ლელო” 2 აგვისტო, 1964 წ.